**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს**
**გადაწყვეტილება №171**
(ოქმი №158)

თბილისი 2010 წლის 6 აპრილი

**სსიპ ‘’საზოგადოებრივი მაუწყებლის’’ მიერ კომპანიასთან KMPG გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

ვინაიდან, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ და კომპანია “KMPG“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა მომსახურების საათობრივი ანაზღაურება და შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის სპეციფიკისა და სირთულის გამო, შეუძლებელი იყო წინასწარ განსაზღვრულიყო, თუ რა თანხების გადახდა მოუწევდა საზოგადოებრივ მაუწყებელს

ვინაიდან, დღეის მდგომარეობით კომპანია “KMPG“-ს მიერ წარმოდგენილი ინვოისის თანახმად, ამ უკანასკნელის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 123 728 (ას ოცდასამი ათას შვიდას ოცდარვა) ევროს, რაც აჭარბებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს, “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის “ე“ პუნქტის შესაბამისად,

1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო ითანხმებს საკითხს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ კომპანია “KMPG“-სთვის 123 728 (ას ოცდასამი ათას შვიდას ოცდარვა) ევროს ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
2. მიეცეს თანხმობა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს, კომპანია “KMPG“-თან ყოველი შემდგომი ანგარიშსწორება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ განხორციელდეს კომპანია “KMPG“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:
ლევან გახელაძე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

| | |
|---|---|
| დავით აფრასიძე | ნოდარ სარჯველაძე |
| დავით კანდელაკი | ემზარ გოგუაძე |
| ზურაბ დავითაშვილი | ავთანდილ ანთიძე |
| ოთარ კობერიძე | ნინო დანელია |
| ბაკურ სულაკაური | ლია ჩახუნაშვილი |
| გიგა ნასარიძე | შორენა შავერდაშვილი |
| გიორგი მელაძე | |